თსუ მედიცინის ფაკულტეტი

სტუდენტების ფოკუს ჯგუფების გამოკითხვა - რეზიუმე

2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი

კვლევის მიზანი. კვლევა მიზნად ისახავდა თსუ მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების შესწავლას სტუდენტების ფოკუს ჯგუფებში, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას.

კვლევის დიზაინი. ხარისხობრივი კვლევა ფოკუს ჯგუფში. დისკუსიისათვის შემუშავდა სპეციალური კითხვარი ღია შეკითხვებით.

ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება

შეკითხვაზე ,,გთხოვთ დაასახელოთ ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის ძლიერი მხარეები'' სტუდენტთა უმეტესობამ ვერ შეძლო ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება. ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობად სტუდენტების უმეტესობის მიერ აღქმული იქნა საერთაშორისო თანამშრომლობა და საერთაშორისო პროექტის ფარგლებში სტუდენტთა მობილობა, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ შედის ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის კომპეტენციაში.

ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა 5 ქულიანი სისტემით სტუდენტთა უმეტესობის მიერ შეფასდა საშუალოდ 2 ქულით (საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობის ასპექტის გათვალისწინებით).

აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება

შეკითხვაზე ,,გთხოვთ დაასახელოთ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის ძლიერი მხარეები'' სტუდენტების მიერ დასახელებული იქნა: ,,კვალიფიციურობა; მეგობრული დამოკიდებულება სტუდენტებთან'', ,,პროფესიონალიზმი'' და ა.შ

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობა 5 ქულიანი სისტემით სტუდენტთა უმეტესობის მიერ შეფასდა საშუალოდ 4,5 ქულით.

დასკვნა.

მიღებული შედეგების ანალიზმა გამოავლინა, რომ თსუ მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტები კმაყოფილები არიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობით და დაბალ შეფასებას აძლევენ ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობას.